

განცხადება

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2015 წლის პერიოდის საბუღალტრო ანგარიშების ფინანსური აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” 2015 წლის პერიოდის საბუღალტრო ანგარიშების ფინანსური აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის ჩატარებაზე.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად, 2016 წლის 25 აპრილამდე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68).

მოთხოვნები

- აუდიტორული კომპანიის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, სასურველია ტელე-, რადიომაუწყებლობის სფეროში,
- აუდიტორული კომპანია უნდა ფიქსირდებოდეს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე ფირმების რეესტრში,
- აუდიტორულმა კომპანიამ აუდიტი უნდა ჩაატაროს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი წესების შესაბამისად,
- აუდიტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2016 წლის 18 მარტის 12:00 საათამდე. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიის დანიშვნას ახორციელებს საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.

საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:

- ა) აუდიტორული კომპანიების წინადადებებს;
- ბ) აუდიტის საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას მაუწყებლის გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2016 წლის 18 მარტს გამოავლენს გამარჯვებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:

- სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს კონსულტანტს ფინანსურ საკითხებში გიორგი ნატროშვილს, მობ. ტელ. 577 777731.

გრიგოლ გოგელია
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის”
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

